საკრებულოს იურიდიულ

საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი №5

ქ. თერჯოლა 17.04.2026 წ

ან. ჭანტურიძის ქ.№7

**სხდომას უძღვებოდა:** იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ბიძინა ბუცხრიკიძე

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:**

1. ბიძინა ბუცხრიკიძე; 2. ლაშა ლანჩავა; 3. ნინო ოქრუაძე; 4. გიორგი ყაზაიშვილი; 5. ვლადიმერ მაკარიძე.; 6. ჯემალ ისაკაძე; 7. გიორგი თურქაძე; 8. ეკა ბერძენიშვილი; 9. ერეკლე კირკიტაძე; 10. იუზა უგრეხელიძე; 11. გიორგი ბარათაშვილი

**სხდომას არ ესწრებოდა:** 0

**სხდომას ასევე ესწრებოდა:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - ანა მარგველაშვილი და საკრებულოს უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში - ფიქრია ბუსკივაძე.

**კომისიის სიითი შემადგენლობა:** 11 წევრი

**კვორუმი:** 6 წევრი

**დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა:** 11

*<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად</u>*

**სხდომის თავმჯდომარემ - ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.**

## დღის წესრიგი:

1. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების, მისი ოდენობის განსაზღვრისა და შესაბამისი ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 თებერვლის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 მარტის №23 დადგენილებაში ცვლილების შესახებ;

3. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

4. საკრებულოს ოპზიციური წევრის - ვლადიმერ მაკარიძის №19/29253034-29 და №19/29253291-29 ინიციატივების განხილვა.

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე 11, წინააღმდეგი - არცერთი**

***<u>დღის წერიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.</u>***

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.</u>

1. მოისმინეს: მომხსენებელმა - იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები გააცნო. პირველად წარმოდგენილ იქნა: 1. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების, მისი ოდენობის განსაზღვრისა და შესაბამისი ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 თებერვლის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი. აღნიშნული ცვლილება ითვალისწინებს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავებისთვის ყოველთვიურად დადგენილი გადასახდელი განაკვეთის ოდენობის შეცვლას. კერძოდ, 25 ლარის ნაცვლად, მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება თვეში 1$მ^3$ -ზე 16 ლარის ოდენობით და გაიანგარიშება ნარჩენების

წლიური დაგროვების ნორმის, ნარჩენების გატანის ღირებულებისა და შესაბამისი ზომის ერთეულის კომბინაციით, წარმოდგენილი ფორმულის შესაბამისად:

M=G/12*R
M-ერთი თვის მოსაკრებელი (ლარი);
G- ნარჩენების წლიური დაგროვების ნორმა $მ^3$;
R-მოსაკრებლის ოდენობა $1მ^3$ ნარჩენზე - 16 ლარი.

2. დასუფთავების განაკვეთისა და გაანგარიშების ფორმულის ცვლილებამ, ცხადია, გამოიწია დადგენილების მე-9 მუხლით გათვალისწინებულ ცხრილიში ჩამოთვლილი განაკვეთების ცვლილება და განისაზღვრა შემდეგნაირად:

| № | საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ჯგუფების ჩამონათვალი საქმიანობის სფეროს მიხედვით | ზომის ერთეული | ნარჩენების წლიური დაგროვების ნორმა $მ^3$ | მოსაკრებლის განაკვეთი თვეში ზომის ერთეულზე სვეტი (№4)/12 თვე * 16 ლარი (მოსაკრებლის ოდენობა $1მ^3$ ნარჩენზე) |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1. | მუზეუმი, ბიბლიოთეკა, არქივი. | საერთო ფართის 1 $მ^2$ | 0.06 | 0.08 |
| 2. | სახელმწიფო ორგანიზაციები | საერთო ფართის 1 $მ^2$ | 0.0225 | 0.03 |
| 3. | ოფისი, სააგენტო და პროფესიული ორგანიზაცია | საერთო ფართის 1 $მ^2$ | 0.0825 | 0.11 |
| 4. | კინოთეატრი და თეატრი | მაყურებლის ერთი სავარძელი | 0.1575 | 0.21 |
| 5. | საბავშვო ბაღი, ბაგა-ბაღი | ერთ აღსაზრდელზე | 0.2 | 0,27 |
| 6. | უმაღლესი სასწავლებელი, სკოლა, კოლეჯი, პროფესიული სასწავლებელი | ერთ მოსწავლეზე | 0.0975 | 0.13 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7. | სასტუმრო (კვების ბლოკის გარეშე) | მომსახურების ერთეული- ერთი საწოლი | 3.75 | 5 |
| 8. | პოლიკლინიკა, სტომატოლოგიური და სხვა სამედიცინო კაბინეტი, სამედიცინო დიაგნოსტიკური ცენტრი | საერთო ფართის 1მ² | 0.435 | 0.58 |
| 9. | აფთიაქი | საერთო ფართის 1მ² | 0.5475 | 0.73 |
| 10. | სტადიონი, ღია ტიპის სპორტული მოედანი | საერთო ფართობის 1მ² | 0.037 | 0,05 |
| 11. | დახურული ტიპის სპორტული დარბაზი | დახურული ფართის 1მ² | 0.2475 | 0.33 |
| 12. | სასურსათო, შერეული საქონლის და სხვა დასახელების მარკეტი (მაღაზია) | სავაჭრო ფართის 1მ² | 0.675 | 0.9 |
| 13. | სამრეწველო საქონლის მაღაზია | საერთო ფართის 1მ² | 0.375 | 0.5 |
| 14. | ბანკი, ლომბარდი, საკრედიტო საფინანსო ორგანიზაცია, ვალუტის გადამცვლელი პუნქტი | საერთო ფართის 1მ² | 0.3975 | 0.53 |
| 15. | აგრარული ბაზრობა | ერთი ადგილი | 0.465 | 0.62 |
| 16. | სამრეწველო და შერეული საქონლის ბაზრობა, ყვავილების ღია და დახურული მაღაზია | საერთო ფართის 1მ² | 0.3375 | 0.45 |
| 17. | ავტოსადგომი | საერთო ფართის 1მ² | 0.135 | 0.18 |
| 18. | ბენზინგასამართი სადგური | საერთო ფართის 1მ² | 0.6 | 0.8 |
| 19. | სადალაქო, სილამაზის სალონი | საერთო ფართის 1მ² | 0.675 | 0.9 |
| 20. | რესტორანი, კაფე, ბარი, სასადილო და სწრაფი კვების ობიექტი, პიცერია | ერთი დასაჯდომი ადგილი | 1.875 | 2.5 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 21. | საცხობი და საკონდიტრო | საერთო ფართის 1მ² | 0.5625 | 0.75 |
| 22. | ტოტალიზატორი, სისტემურ-ელექტრონული აპარატი და სხვა სათამაშო კლუბი | საერთო ფართის 1მ² | 0.75 | 1 |
| 23. | საავტომობილო სადგური | საერთო ფართის 1მ² | 0.3 | 0.4 |
| 24. | ღია ტიპის დასვენების და გასართობი ადგილი, სკვერი, ბაღი | საერთო ფართის 1მ² | 0.03 | 0.04 |
| 25. | ატრაქციონი, აკვა-პარკი | საერთო ფართის 1მ² | 0.075 | 0.1 |
| 26. | სამხედრო ნაწილი, პენიტენციალური სისტემა | ერთი ადგილი | 0.6 | 0.8 |
| 27. | ავტოტექ მომსახურების სადგური, სახელოსნო, ავტოსამრეცხაო | საერთო ფართის 1მ² | 0.3375 | 0.45 |
| 28. | საბითუმო და სამაცივრო საწყობი და ბაზარი | საერთო ფართის 1მ² | 0.3 | 0.4 |
| 29. | საბანკეტო და სარიტუალო დარბაზი | საერთო ფართის 1მ² | 0.2475 | 0.33 |
| 30. | სადურგლო, მეტალოპლასტმასის, მინის დაჭრისა და სხვა სახელოსნო | საერთო ფართის 1 მ² | 0.5625 | 0.75 |
| 31. | სანერგე მეურნეობა, სათბური | საერთო ფართის 1 მ² | 0.0075 | 0.01 |

მომხსენებელმა - ბიძინა ბუცხრიკიძემ მე-2 და მე-3 საკითხად განიხილა: ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ"თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 მარტის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ და ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხები. კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულებაში ცვლილება

განპირობებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის პოზიციის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის - საინფორმაციო საკითხებში პოზიციის შეცვლით. მითითებული ცვლილება საჭირო გახდა საკრებულოს ეფექტიანი ფუნქციონირების საჭიროებიდან და ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონით გათალისწინებული ვალდებულებების ზედმიწევნით შესრულების მიზნებიდან გამომდინარე, ვინაიდან სპეციალისტს-საინფომაციო საკითხებში ფუნქცია-მოვალეობით უწევს შემდეგი ფუნქცია-მოვალეობების შესრულება:

1. საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - საინფორმაციო საკითხებში **უზრუნველყოფს:**

ა. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციის ფარგლებში საინფორმაციო პროცესების დაგეგმვას, მართვასა და განხორციელებას;

ბ. საკრებულოს ეფექტიანი მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისი ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და ანალიზი ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვის გათვალისწინებით;

გ. საკრებულოს აპარატში სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის სიზუსტისა და სანდოობის გადამოწმება;

დ. მუნიციპალიტეტის შიდა სტრუქტურულ ერთეულებთან და გარე ორგანიზაციებთან ინფორმაციის გაცვლის კოორდინაცია კანონმდებლობის შესაბამისად;

ე. საჭიროების შემთხვევაში შეხვედრების, პრეზენტაციებისა და საინფორმაციო ღონისძიებების ორგანიზებაში მონაწილეობა.

ვ. მონაცემთა დამუშავება, შეგროვება, მართვასა და გაცემასთან დაკავშირებით შემოსული განცხადებებისა და საჩივრების ანალიზისა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა.

ზ. მოქმედი კანონმდებლობით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულებითა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელება.

2. სპეციალისტი - საინფორმაციო საკითხებში, ანგარიშვალდებულია მაღალი დონის მმართველობის სტრუქტურის - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს აპარატის უფროსის წინაშე.

აღნიშნული ცვლილება საფუძველი გახდა ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №19

დადგენილებაში ცვლილების შეტანისა, სადაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შტატის სახელწოდება შეიცვლა პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - საინფორმაციო საკითხებში სახელწოდებით.

**რიგით მე-4 საკითხად** კომისიის თავმჯდომარემ განიხილა საკრებულოს ოპოზიციური (ლელო-ძლიერი საქართველო) წევრის -ვლადიმერი მაკარიძის ინიციატივები: საკრებულოში ანტიკორუფციული ფაქტების შემსწავლელი დროებითი სამუშო ჯგუფის შექმნის თაობაზე და საჯარო სკოლებში პირველკლასელთა უფასო კვებასთან დაკავშირებით. მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშულ ინიციატივებს თან არ ახლავს კანონმდებლობით გათვალიწინებული დასაბუთება და მიზნობრიობა. საკითხი ვერ აკმაყოფილებს თერჯოლის მუნიციალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 34-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, რომელის თანახმად:

1. საკრებულო, დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ, არა ნაკლებ სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა, ქმნის დროებით სამუშაო ჯგუფებს.

2. დროებითი სამუშაო ჯგუფები იქმნება საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ ცალკეულ საკითხთა შესწავლის მიზნით.

3. საკრებულოს გადაწყვეტილებაში დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ მითითებული უნდა იყოს სამუშაო ჯგუფის შექმნის მიზანი, გამოსაკვლევ საკითხთა წრე, სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა და წევრთა რაოდენობა.

4. დროებითი სამუშაო ჯგუფი იქმნება მხოლოდ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და უქმდება ამ მუხლით დადგენილი წესით და შემთხვევებში.

აღნიშნული დადგენილებების პროექტთან დაკავშირებით:

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 10, წინააღმდეგი: 1

აღნიშნული ინიციატივებთან დაკავშირებით:

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ ინიციატივებს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 1, წინააღმდეგი: 10

გადაწყვიტეს:

**მუხლი 1. დღის წესრიგით გათვალისწინებული 3 (სამი) საკითხი:**

1. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების, მისი ოდენობის განსაზღვრისა და შესაბამისი ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 თებერვლის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 მარტის №23 დადგენილებაში ცვლილების შესახებ;

3. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

**დასამტკიცებლად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას.**

**კომისიის გადაწყვეტილებით,** ვლადიმერ მაკარიძის ინიციატივები არ იქნეს დასამტკიცებლად წარდგენილი საკრებულოს ბიუროსა და სხდომაზე.

**იურიდიულ საკითხთა კომისიის**

**თავმჯდომარე - ბიძინა ბუცხრიკიძე**